Mayor's Office of Immigrant Affairs

საიმიგრაციო სასამართლო 101

Georgian | ქართული

საიმიგრაციო სასამართლოში გექნებათ შესაძლებლობა დაიცვათ თქვენი საქმე საიმიგრაციო მოსამართლის წინაშე და დაამტკიცოთ, თუ რატომ უნდა მოგეცეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში დარჩენის ნებართვა. თუ წააგებთ საქმეს საიმიგრაციო სასამართლოში, შეძლებთ გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

შეიძლება მოხდეს თქვენი დეპორტირება, თუ:

- წააგებთ საქმეს საიმიგრაციო სასამართლოში და არ გაასაჩივრებთ გადაწყვეტილებას,
- გაასაჩივრებთ გადაწყვეტილებას და წააგებთ საქმეს.

ვინ იქნება საიმიგრაციო სასამართლოში?

- **საიმიგრაციო სასამართლოში** იქნება საიმიგრაციო მოსამართლე, რომელიც დაადგენს, გაგაჩნიათ თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებში დარჩენის ნებართვა.
- იქნება **ადვოკატი**, რომელიც მუშაობს მთავრობის სასარგებლოდ. მისი მოვალეობაა წარმოადგინოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა. ის არ მუშაობს თქვენს სასარგებლოდ.
- **თუ გყავთ ადვოკატი**, მას ყოველთვის შეუძლია თქვენთან ერთად იმყოფებოდეს სასამართლო დარბაზში, ასევე დაგირეკოთ და მოვიდეს თქვენთან.

გახსოვდეთ: მთავრობა არ უზრუნველყოფს თქვენთვის ადვოკატს, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ თავად დაიქირავოთ ადვოკატი, რომელიც იქნება თქვენი წარმომადგენელი სასამართლოში.

თქვენი საიმიგრაციო სასამართლო სხდომის თარიღის შემოწმება

- სასამართლო სხდომის თარიღის შესამოწმებლად დაგჭირდებათ თქვენი A-ნომერი (A-number). (მაგალითად: A 000-000-000). ეს ნომერი მოგენიჭებათ მთავრობის მიერ და მითითებული იქნება საიმიგრაციო დოკუმენტებში.
- შეამოწმეთ ინფორმაცია თქვენი საკითხის თაობაზე სხდომის შესახებ საქმეთა ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემის მეშვეობით (Automated Case Information system). ქვემოთ მოცემულია ორი მეთოდი:
  - დარეკეთ ცხელ ხაზზე ნომერზე 1-800-898-7180. შეიყვანეთ თქვენი A-ნომერი და მიჰყევით ოპერატორის მითითებებს.
  - ეწვიეთ ვებგვერდს: https://acis.eoir.justice.gov/en/. ჩაწერეთ თქვენი A-ნომერი ძიების ველში და დააწკაპუნეთ ღილაკზე „Enter" (შეყვანა).

ამ ფლაერში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია. ის არ წარმოადგენს იურიდიულ კონსულტაციას. იურიდიული კონსულტაციისთვის მიმართეთ ადვოკატს.

Mayor's Office of Immigrant Affairs

საიმიგრაციო სასამართლო 101

Georgian | ქართული

სხდომაზე პირადად დასწრების ფორმის შეცვლა ვირტუალური/ სატელეფონო სხდომით

თუ გსურთ შეცვალოთ საიმიგრაციო სასამართლო სხდომაზე თქვენი პირადად დასწრების ფორმა ონლაინ ან სატელეფონო ფორმატით, უნდა შეიტანოთ ოფიციალური განცხადება სასამართლოში. მნიშვნელოვანია, რომ შეიტანოთ განცხადება რაც შეიძლება მალე მომდევნო სხდომის თარიღამდე. ამასთან ერთად არ დაგავიწყდეთ **კონსულტაციის გავლა ადვოკატთან**.

- იურიდიული კონსულტაცია უნდა გაიაროთ ადვოკატთან, რომელიც დაგეხმარებათ აუცილებელი დოკუმენტაციის სწორად მომზადებასა და შეტანაში.
- საჭირო იქნება სასამართლოში სხდომის ფორმატის შეცვლის შუამდგომლობის (Motion to Change Hearing Format) შეტანა. საიმიგრაციო მოსამართლე განიხილავს თქვენს განცხადებას და გაცნობებთ თქვენ ან თქვენს ადვოკატს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
- შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სხდომა ჩატარდება ონლაინ; უარის შემთხვევაში სხდომის პირადად დასწრების ფორმატი უცვლელი დარჩება.

სამართლებრივი წარმომადგენლის პოვნა

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მიღებული იქნა შეტყობინებები საიმიგრაციო სასამართლოებში საიმიგრაციო კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფითი ზომების გაძლიერების შესახებ. სასურველია გქონდეთ მოქმედების გეგმა თქვენი დაკავების შემთხვევაში. თუ გაქვთ კითხვები, მიმართეთ ადვოკატს.

უფასო და კონფიდენციალური იურიდიული დახმარების მისაღებად დარეკეთ მერიის იმიგრაციის საქმეთა სამმართველოს (Mayor's Office of Immigrant Affairs, MOIA) საიმიგრაციო სამართლებრივი მხარდაჭერის ცხელ ხაზზე:

1-800-354-0365

ორშ-პარ, 9:00-დან 18:00 სთ-მდე

ხელმისაწვდომია სათარჯიმნო მომსახურება

თითოეულ საიმიგრაციო სასამართლოს აქვს უახლოესი უფასო ან დაბალფასიანი საიმიგრაციო იურიდიული მომსახურების მომწოდებლების ჩამონათვალი.

დაასკანირეთ QR კოდი, რათა წინასწარ მოძებნოთ თქვენს სასამართლოსთან ახლოს არსებული უფასო საიმიგრაციო იურიდიული ორგანიზაციების ჩამონათვალი, ან ეწვიეთ გვერდს www.justice.gov/eoir/list-pro-bono-legal-service-providers

ამ ფლაერში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია. ის არ წარმოადგენს იურიდიულ კონსულტაციას. იურიდიული კონსულტაციისთვის მიმართეთ ადვოკატს.